



Empowered lives.  
Resilient nations.

---

## მიწის დეგრადაციისა და გაუდაბნოების საჭიროებების შეფასების საფუძველზე მომზადებული ხარვეზების აღმოფხვრის გეგმა

---

ანგარიში მომზადებულია პროექტის “გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ ფარგლებში

პროექტი - „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ - ინიცირებულ იქნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ. პროექტს ახორციელებს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას, ინფორმაციის გაცვლისა და მართვის ინოვაციური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობის გზით. გარემოსდაცვითი ინფორმაციის/ცოდნის მართვის სისტემა ხელს შეუწყობს, როგორც ეროვნული მიზნების მიღწევას, ისე საერთაშორისო (რიოს სამი კონვენცია) ვალდებულებების შესრულებას.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორის პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს გაერო-ს განვითარების პროგრამის შეხედულებათა ამსახველად.

## სარჩევი

|  |    |
|--|----|
| 1. შესავალი -----  | 4  |
| 2. საკანონმდებლო ბაზის განახლების სამოქმედო გეგმა -----  | 5  |
| 3. მიწის მართვის ინსტიტუციონალურ სტრუქტურებს შორის კოორდინაციის<br>გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა ----- | 8  |
| 4. მიწის დაცვის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა -----                              | 10 |
| 5. მიწის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნის გეგმა -----   | 14 |
| 6. მიწათმოსარგებლეების ცნობიერების დონის ამაღლების სამოქმედო გეგმა -----                               | 15 |
| 7. დასკვნები -----   | 17 |
| 8. გამოყენებული ლიტერატურა -----   | 19 |

## 1. შესავალი

ეს დოკუმენტი, სახელწოდებით, “სამუშაო გეგმა“, მომზადდა პროექტ „ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში გლობალური გარემოსდაცვითი გაუმჯობესებული ცოდნისა და მონიტორინგისთვის“ ფარგლებში. დოკუმენტის მომზადებისთვის შეფასდა საქართველოს მიწის მდგომარეობის შესახებ არსებული მასალა და კვლევები, მოხდა საკანონმდებლო ბაზის ანალიზი, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან.

გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მიწის დეგრადაციისა და გაუდაზნოების მიზეზების, ზემოქმედებისა და ტენდენციების ეროვნული საჭიროებების შეფასების რეკომენდაციებს, ყველაფერთან ერთად, მოიცავს კონკრეტულ ქმედებებს, ნათელ და გაზომვად შედეგებს თუ როგორ უნდა განხორციელდეს მიწის დეგრადაციის შეფასების რეკომენდაციები. ეს ქმედებები შემუშავდა ექსპერტებთან და სხვა სამთავრობო და არასამთავრობო დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებით ფინანსური და საბიუჯეტო მოთხოვნებით. გეგმა განსაზღვრავს იმ ფინანსურ რესურსებს, რომლებიც საჭირო იქნება კონკრეტული ქმედებების განსახორციელებლად. ადამიანური რესურსების მობილიზაცია და ქმედებების განხორციელება საჭიროებს სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო დაინტერესებული მხარის ჩართულობას. ეს ჩართულობა იქნება, როგორც ტექნიკური, ასევე ადმინისტრაციული. სამუშაო გეგმა ასევე მოიცავს დაგეგმილი ქმედებების განხორციელებისთვის საჭირო ვადებს.

## 2. საკანონმდებლო ბაზის განახლების სამოქმედო გეგმა

გაუდაბნობასთან ბრძოლის კონვენციისა და მიწის დეგრადაციის მონიტორინგის საჭიროებების განხორციელების კვლევის პროცესში გამოიკვეთა რიგი საკითხები, მათ შორის, საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების საჭიროება, რაც მთლიანად უნდა მოიცავდეს იმ კანონების, საკანონმდებლო აქტების, დადგენილებებისა და სხვადასხვა ნორმატიული აქტის განხილვას ერთ სივრცეში, რომლებიც იწვევს ქაოტურობას ფუნქციების გადანაწილებაში (ინტერესთა კონფლიქტი და ორმხრივი ექსკლუზიურობა). შესაბამისად, იქმნება საჭიროება, დაიწეროს ახალი „კოდექსი მიწის შესახებ“, რომელიც უზრუნველყოფს და მოაწესრიგებს ჩამოთვლილ პრობლემებს, ასევე შექმნის ერთ რეალურ საკანონმდებლო სივრცეს მიწის მართვის სფეროში.

აღნიშნული კოდექსის მისაღებად საჭიროა:

- საკორდინაციო ჯგუფის ჩამოყალიბება, საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობით;
- „კოდექსი მიწის შესახებ“ კანონპროექტის კოორდინატორი;
- შეირჩეს და ჩამოყალიბდეს კანონპროექტზე მომუშავე 5 კაციანი ჯგუფი;
- განხორციელდეს დღეს არსებული საკანონმდებლო ბაზის შეფასებითი ანალიზი;
- შემუშავდეს საკანონმდებლო კონცეფცია;
- მოეწყოს საკანონმდებლო კონცეფციის საჯარო განხილვა;
- საკანონმდებლო კონცეფციის გატანა და დამტკიცება საკანონმდებლო ორგანოში;
- საკანონმდებლო პროექტის პირველი ვერსიის მომზადება;
- მოეწყოს საკანონმდებლო პროექტის საჯარო განხილვები;
- საკანონმდებლო პროექტის საბოლოო ვერსიის შედგენა;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის მიხედვით, აღნიშნული კანონპროექტის მიღება.

„კოდექსი მიწის შესახებ“ უნდა მოიცავდეს კომპლექსურად მიწის მართვის, სარგებლობის და ნიადაგის დაცვით ღონისძიებებს, ასევე კოდექსი

ჰარმონიზირებული უნდა იყოს სხვადასხვა კანონთან, საკანონმდებლო აქტებთან, დადგენილებებთან და საერთაშორისო კონვენციებთან, რის გამოც სამუშაო ჯგუფს უნდა შეადგენდეს, როგორც იურიდიული სფეროს 3 ექსპერტი: სისხლის სამართალში, ადმინისტრაციულ სამართალსა და სამოქალაქო სამართალში, ასევე დარგობრივი სპეციალობის 2 ექსპერტი: გარემოსდაცვის და სოფლისმეურნეობის დარგში. ასევე, აღნიშნულ სამუშაოებს დასჭირდება 1 კოორდინატორი. აღნიშნული ჯგუფს კოორდინაციას გაუწევს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

სამუშაო ჯგუფი, პირველ რიგში, ანალიზებს და აფასებს მიწის რესურსისა და ნიადაგის საფარის შესახებ არსებულ საკანონმდებლო და საერთაშორისო ვალდებულებების მასალებს და მიმოიხილავს განვითარებული ქვეყნების პრაქტიკას.

მასალების ანალიზის შემდეგ, ჯგუფი მუშაობს და გამოყოფს პრიორიტეტებს, რის საფუძველზეც შეიმუშავებს „მიწის შესახებ კოდექსის“ მოკლე ანოტაციას საკანონმდებლო ორგანოში წარსადგენად და პარლამენტიდან დამტკიცების მისაღებად.

საკანონმდებლო ორგანოდან მიღებული დადებითი პასუხის შემდეგ, ხორციელდება აღნიშნულ საკანონმდებლო პროექტზე მუშაობა და კანონის პირველადი ვერსიის შემუშავება.

მიღებული დოკუმენტი გადის საჯარო განხილვებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან, ადგილობრივ თვითმმართველობებთან, არასამთავრობო სექტორთან, სამეცნიერო ჯგუფებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. მიზანშეწონილია, რომ კანონპროექტის პირველადი ვერსია განხილული იქნას, ინდივიდუალურად, მუნიციპალიტეტებშიც. მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, ჯგუფი განაგრძობს საბოლოო დოკუმენტზე მუშაობას და უკვე მომზადებულ დოკუმენტს წარადგენს საკანონმდებლო ორგანოში დასამტკიცებლად.

ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებების განსახორციელებლად საჭირო ვადები, ფინანსური და ადამიანური რესურსები მოცემულია ცხრილ N1-ში;

ცხრილი N1;

| N | ქმედება   | ვადები | ფინანსური რესურსი | ადამიანური რესურსი      |
|---|---|--------|-------------------|-------------------------|
| 1 | საკოორდინაციო ჯგუფის, საკანონმდებლო პროექტის კოორდინატორის, ექსპერტების შერჩევა | 1 თვე  | 3000 ლარი         | 3 კაცი (პროექტის გუნდი) |
| 2 | საკანონმდებლო პროექტის  | 3 წელი | 36000 ლარი        | 1 კაცი (პროექტის        |

|    | კოორდინატორი  |        |              | გუნდი  |
|----|---|--------|--------------|--|
| 3  | ექსპერტები  | 3 თვე  | 270000 ლარი  | 5 ექსპერტი<br>(ტექნიკური<br>ექსპერტები და<br>სპეციალისტები)                |
| 4  | შეფასებითი ანალიზი<br>დღეს არსებული<br>საკანონმდებლო ბაზის და<br>საერთაშორისო<br>სამართლებლივი აქტების;<br>და ევროპაში არსებული<br>პრაქტიკის მიმოხილვა. | 3 თვე  | 75 000 ლარი  | 5 ექსპერტი<br>(ტექნიკური<br>ექსპერტები და<br>სპეციალისტები)                |
| 5  | შემუშავდეს<br>საკანონმდებლო<br>კონცეფცია  | 3 თვე  | 75 000 ლარი  | 5 ექსპერტი<br>(ტექნიკური<br>ექსპერტები და<br>სპეციალისტები)                |
| 6  | საკანონმდებლო<br>კონცეფციის საჯარო<br>განხილვა  | 1 დღე  | 5 000 ლარი   | სავარაუდოდ,<br>50 კაცი<br>(დაინტერესებული<br>მხარეები და<br>მონაწილეები)   |
| 7  | საკანონმდებლო<br>კონცეფციის განხილვა და<br>დამტკიცება<br>საკანონმდებლო ორგანოში   | 2 თვე  | 3000 ლარი    | 5 ექსპერტი<br>(ტექნიკური<br>ექსპერტები და<br>სპეციალისტები)                |
| 8  | საკანონმდებლო პროექტის<br>პირველი ვერსიის<br>მომზადება  | 12 თვე | 300 000 ლარი | 5 ექსპერტი<br>(ტექნიკური<br>ექსპერტები და<br>სპეციალისტები)                |
| 9  | საკანონმდებლო პროექტის<br>საჯარო განხილვები, მათ<br>შორის,<br>მუნიციპალიტეტებში   | 6 თვე  | 80 000 ლარი  | სავარაუდოდ, 1500<br>კაცი<br>(დაინტერესებული<br>მხარეები და<br>მონაწილეები) |
| 10 | საკანონმდებლო პროექტის<br>საბოლოო ვერსიის<br>შედგენა  | 2 თვე  | 50 000 ლარი  | 5 ექსპერტი<br>(ტექნიკური<br>ექსპერტები და<br>სპეციალისტები)                |
| 11 | საქართველოს   | 2 თვე  | 3000 ლარი    | 1 კაცი (პროექტის   |

|  |   |  |  |  |
|--|---|--|--|--|
|  | კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის მიხედვით აღნიშნული კანონპროექტის მიღება |  |  | გუნდი);<br>5 ექსპერტი<br>(ტექნიკური<br>ექსპერტები და<br>სპეციალისტები) |
|--|---|--|--|--|

საკანონმდებლო პაკეტმა უნდა მოიცვას შესაბამისი უწყებების კომპეტენციების შეფასება და შეიმუშავოს კანონის აღსრულების მექანიზმები. აგრეთვე, მომზადდეს მიწის მართვის გეგმები: ურბანული, არასასოფლოსამეურნეო (ქალაქებისთვის, დასახლებული პუნქტებისთვის, ტყის ფონდის მიწებისთვის, წყლის ფონდის მიწებისთვის,) სასოფლოსამეურნეო (სახნავი, სათიბი, სამოვარი). პრიორიტეტულია სამთო მინაკუთვნების საკითხიც. ეს უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, მუნიციპალიტეტების მიხედვით, მათი მიწათსარგებლობის პრიორიტეტების შესაბამისად. შემსრულებლები არიან საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და ადგილობრივი თვითმმართველობები.

### 3. მიწის მართვის ინსტიტუციონალურ სტრუქტურებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა

გაუდაზნოებისა და მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და შერბილების ერთ-ერთი პრიორიტეტული ქმედება საქართველოს მთავრობის უწყებათა შორის აქტიური თანამშრომლობა და დაინტერესებული მხარეების აქტიურობაა, რისთვისაც საჭიროა:

- ჩამოყალიბდეს ინტერსექტორალური საკოორდინაციო ჯგუფი;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობა და აქტიურობა;
- სამეცნიერო კვლევითი ჯგუფების ჩართულობა;
- არასამთავრობო სექტორის გააქტიურება.

უნდა ჩამოყალიბდეს მიწათმოწყობის და სარგებლობის უწყებათშორისი ინტერსექტორალური კომისია, რომლის კოორდინაციასაც გაწევს მინისტრთა კაბინეტი და შევლენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახური, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა (საჯარო



რეესტრი) და სტატისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლები. აღნიშნული კომისიის ფუნქცია უნდა იყოს მიწის კატეგორიზაცია, მიწათმოწყობის გეგმების დამტკიცება და შემუშავებული კანონის ზედამხედველობა. ინტერსექტორალურ კომისიაში ასევე შეიძლება იყოს ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების და სამეცნიერო კვლევითი ჯგუფების წარმომადგენლობა, საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტებიდან დარგში პასუხისმგებელი პირები.

აღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად საჭირო ვადები, ფინანსური და ადამიანური რესურსები მოცემულია ცხრილ N2-ში;

**ცხრილი N2**

| N  | ქმედება  | ვადები              | ფინანსური რესურსი | ადამიანური რესურსი  |
|----|--|---------------------|-------------------|---|
| 1. | უწყებათშორისი ინტერსექტორალური კომისია                         | 3 წელი              | -                 | რაოდენობა დამოკიდებულია სახელმწიფო, არასამთავრობო, სამეცნიერო კვლევითი ჯგუფებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე |
| 2. | უწყებათშორისი ინტერსექტორალური კომისიის შეხვედრების ორგანიზება | 3 წლის განმავლობაში | 41000 ლარი        | 2 კაცი (პროექტის გუნდი)   |
| 3. | სამეცნიერო კვლევითი ჯგუფების გაძლიერება და მათი ჩართულობა      | 3 წელი              | -                 | 2 კაცი (პროექტის გუნდი)   |
| 4. | არასამთავრობო სექტორის აქტიური ჩართულობა პროგრამებით           | 3 წელი              | -                 | 2 კაცი (პროექტის გუნდი)   |
| 5. | ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობა                         | 3 წელი              | -                 | 2 კაცი (პროექტის გუნდი)   |

#### 4. მიწის დაცვის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა

ქვეყნის მასშტაბით გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის და ნიადაგის კონსერვაცია/აღდგენა-გაუმჯობესების სფეროში სისტემური მონიტორინგის წარმოებისთვის უნდა აღიჭურვოს შესაბამისი აპარტურით და კვალიფიცირებული კადრით, ასევე განახორციელოს დარგში არსებული მცირერიცხოვანი სპეციალისტების მოძიება, გადამზადება და მათი გამოცდილების გამოყენება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ გამოყოს ყოველწლიური ბიუჯეტი ნიადაგის დეგრადაციის, ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მონიტორინგის წარმოების მიზნით.

რეკომენდირებულია განხორციელდეს შემდეგი ქმედებები:

- ნიადაგმცოდნეების კვალიფიკაციის მქონე პირთა საინფორმაციო ბანკის შექმნა;
- ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში შეიქმნას მიწის მართვის სამსახურები;
- გაიზარდოს საშტატო ერთეული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახურში;
- საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოში შეიქმნას მიწის მონიტორინგის სამსახური;
- გაიზარდოს საშტატო ერთეული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტში;
- არსებული მასალების მოძიება და ელექტრონული სისტემაში მოყვანა.

მიწის დაცვის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, სასურველი იქნება ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში მათი კომპეტენციების განსასაზღვრად მიწის მართვისა და ნიადაგდაცვით ღონისძიებებთან დაკავშირებით და მიწის მართვასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი სტრუქტურების ჩამოყალიბება თითოეულ მუნიციპალიტეტში. თითოეულ მუნიციპალიტეტში აღნიშნული სტრუქტურები უნდა დაკომპლექტდეს ნიადაგმცოდნეობის სპეციალისტის 3 საშტატო ერთეულით.

გარემოს ეროვნულ სააგენტოში უნდა შეიქმნას მიწის მონიტორინგის სამსახური, რომელიც უნდა აღიჭურვოს შესაბამისი კვალიფიცირებული კადრებითა და აპარტურით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ გამოყოს ყოველწლიური ბიუჯეტი დეგრადაციის მონიტორინგის წარმოების მიზნით.

მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახურმა, სრულფასოვნად რომ შეასრულოს თავისი ფუნქცია-მოვალეობები, საჭიროა შტატების რიცხოვნობის ზრდა.

უნდა გაიზარდოს საშტატო ერთეული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტში ნიადაგის დაცვის და მონიტორინგის გაუმჯობესების მიზნით.

უნდა მოხდეს სამეცნიერო კვლევითი ჯგუფების გაძლიერება ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით პროგრამული დაფინანსების ქვეშ.

უნდა გაიზარდოს არასამთავრობო სექტორის აქტიური ჩართულობა გაუდაბნოებისა და ნიადაგის დაცვის ღონისძიებებში, მათი პროგრამული დაფინანსების ქვეშ.

საინფორმაციო ბაზის შესაქმნელად აუცილებელია გამოყენებულ იქნას ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტისა და სხვა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში არსებული მასალები ნიადაგებზე; ასევე, უნდა მოხდეს ძველი მასალების მოძიება სხვადასხვა უწყებასა თუ კერძო პირს შორის. მიწის მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნისთვის საჭიროა მუნიციპალიტეტის მიწებზე (სამოვრები, სახნავი, სათიბი და კერძო ნაკვეთები) ინფორმაციის სისტემატიზაცია მიწის დანიშნულებისა და თვისობრივი ხარისხის მონაცემების მიხედვით.

მიწის დაცვის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესები საჭირო ვადების, ფინანსური და ადამიანური რესურსის საჭიროება, მოცემულია ცხრილ N3;

ცხრილი N3;

| N | ქმედება   | ვადები | ფინანსური რესურსი | ადამიანური რესურსი                                |
|---|---|--------|-------------------|---|
| 1 | დარგში სპეციალისტების მოძიება და საინფორმაციო ბანკის შექმნა | 3 წელი | 72000 ლარი        | 2 კაცი<br>(პროექტის გუნდი)                        |
| 2 | ცვლილებები ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსში             | 2 თვე  | 15000 ლარი        | 5 კაცი<br>(ტექნიკური ექსპერტები და სპეციალისტები) |
| 3 | სამუშაო ჯგუფის შერჩევა ადგილობრივ თვითმართველობაში          | 1 თვე  | -                 | 2 კაცი<br>(პროექტის გუნდი)                        |
| 4 | სამუშაო ჯგუფის  | 1 თვე  | 30 000            | 5 კაცი  |

|   |   |        |                                    |  |
|---|---|--------|------------------------------------|--|
|   | გადამზადება   |        |                                    | (ტექნიკური<br>ექსპერტები და<br>სპეციალისტები)  |
| 5 | გარემოს ეროვნულ<br>სააგენტოს მიწის<br>მონიტორინგის<br>სამსახურის ჯგუფის<br>შერჩევა  | 1 თვე  | -                                  | 2 კაცი<br><br>(პროექტის<br>გუნდი)  |
| 6 | გარემოს ეროვნულ<br>სააგენტოს მიწის<br>მონიტორინგის<br>სამსახურის აღჭურვა            | 3 თვე  | მოკვლევის<br>საფუძველზე            | 2 კაცი<br><br>(პროექტის<br>გუნდი)<br><br>5 კაცი<br><br>(ტექნიკური<br>ექსპერტები და<br>სპეციალისტები) |
| 7 | სამეცნიერო კვლევითი<br>ჯგუფების გაძლიერება<br>ტექნიკური და ფინანსური<br>მხარდაჭერით | 3 წელი | 100000 ლარი                        | 2 კაცი<br><br>(პროექტის<br>გუნდი)<br><br>5 კაცი<br><br>(ტექნიკური<br>ექსპერტები და<br>სპეციალისტები) |
| 8 | არასამთავრობო სექტორის<br>აქტიური ჩართულობა<br>პროგრამებით                          | 3 წელი | მათი<br>პროგრამული<br>დაფინანსებით | 2 კაცი<br><br>(პროექტის<br>გუნდი)  |
| 9 | არსებული მასალების<br>მომიება და<br>ელექტრონული სისტემაში<br>მოყვანა.               | 3 წელი | 50000 ლარი                         | 2 კაცი<br><br>(პროექტის<br>გუნდი)<br><br>5 კაცი  |

|  |  |  |  |   |
|--|--|--|--|---|
|  |  |  |  | (ტექნიკური<br>ექსპერტები და<br>სპეციალისტები) |
|--|--|--|--|---|

მკაფიოდ გაწერილი საკანონმდებლო ბაზა, მოქმედებათა გეგმა და მიწის მართვის ინსტიტუციონალურ სტრუქტურებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება, სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ერთეულებში საშტატო ერთეულების დამატება და ტექნიკური დახმარება, ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საბოლოო მასალა საქართველოში ჩატარებული კადასტრის და მიწის რეგისტრაციის პროექტის, საქართველოს საჯარო რეესტრის მიერ მომზადებული საქართველოში უძრავი ქონების საკუთრების რეგისტრაციის, და საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწების აღწერის მასალები, მნიშვნელოვან ფუნდამენტს შექმნის მიწის დაცვის მონიტორინგის სისტემის განხორციელებისთვის, თუმცა მიწის კვლევა და დღევანდელი მდგომარეობის შეფასება მნიშვნელოვანია მიწის დაცვისა და რაციონალური მოხმარებისთვის.

მიწის დაცვის მონიტორინგის და მიწის კადასტრის განსახორციელებლად აუცილებელია სრული სამეცნიერო კვლევითი ღონისძიების ჩატარება, რაც ძალიან ხანგრძლივ პერიოდს, კვალიფიციური კადრის მომზადებასა და დიდ თანხებს მოითხოვს:

ამ ეტაპზე გამოსავალს წარმოადგენს ლანდშაფტური კვლევა მსხვილმასშტაბიან ფორმატში, რაც დაგეგმარება დაზარალებული ტერიტორიის იდენტიფიცირებაში, ტერიტორიის ფართობის დადგენასა და გეოინფორმაციული სისტემის შექმნაში. კვლევის მეთოდების გამოყენებას გააჩნია კომპლექსური ხასიათი. უპირველესად, ვირჩევთ კვლევის მასშტაბს და მისთვის საჭირო არსებულ კარტოგრაფიულ მასალებს. ლანდშაფტური საფუძველის მომზადებისათვის ხელსაყრელია 1 : 10 000 მასშტაბი (1 სმ: 100მ.). აღნიშნული მიზნისათვის ვიყენებთ მაღალი რეზოლუციის მქონე აერო და კოსმოსურ სურათებს და მსხვილმასშტაბიან ტოპოგრაფიულ რუკებს, სარწყავი და საშრობი სისტემების ძველ გეგმებს, მოძიებული ნიადაგების რუკებს, გეოლოგიურ რუკებს და სხვა მოპოვებულ ინფორმაციას. პირველ ეტაპზე, ჯგუფი მსხვილმასშტაბიანი ტოპოგრაფიული რუკის საფუძველზე შეადგენს ჰიფსომეტრიული ქსელის საფუძველს, სადაც 1 : 25 000 მასშტაბის რუკიდან გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემის (გის) ტექნოლოგიებით ამოიხაზება ჰიფსომეტრიული ქსელი ყოველი გატარებული ჰორიზონტალის მიხედვით, აღნიშნულ რუკებზე ჰორიზონტალების ქსელი დატანილია 5 მეტრის ინტერვალით. აღნიშნული ქსელი განთავსდება ცალკეულ ფენად გის სისტემაში და განლაგდება აეროკოსმოსურ სურათებზე. ამის საშუალებით მოხდება დიფერენცირება ისეთი კომპონენტებისა, როგორებიცაა: ფერდობის ექსპოზიცია, ფერდობის დახრილობა,

მიგრაციის რეჟიმი, წყლის ნაკადების მოძრაობის მიმართულება, ღვარცოფული ნაკადების მიმართულება. აღნიშნული ლანდშაფტური რუკის შემუშავებისთვის მიზანშეწონილია სოციალური კვლევების წარმოება ადგილობრივ მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტებში. სოციალური კვლევა უნდა ჩატარდეს ისეთი კითხვარით, რომელიც დაგვებმარება კონკრეტულ ტერიტორიაზე ნიადაგით სარგებლობის ზოგადი სურათის ასახვაში.

სენსიტიურ ზონებში უნდა მოხდეს ამონაბარების (0-20სმ, 20-40 სმ) გაკეთება და აღებული მასალების ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ანალიზი ლაბორატორატორიაში. საბოლოო ჯამში, შედეგები უნდა განთავსდეს გეო-ინფორმაციულ სისტემაში.

## 5. მიწის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნის გეგმა

გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს მიწის შესახებ მონაცემთა ერთიანი განახლებული, დაზუსტებული ბაზა, უნდა განხორციელდეს რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც მოემსახურება ამ ბაზის შექმნას. მონაცემთა ერთიანი ბაზაში უნდა შევიდეს ყველა ინფორმაცია მიწასთან დაკავშირებით, იქნება ეს კვლევითი თუ ინფორმაციული. მათ შორის განსაკუთრებით გამოიყოფა შემდგომი ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს ცენტრალურ საფუძველს ამ სფეროში:

- გამოყენებულ იქნას ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის და სხვა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში არსებული მასალები; ასევე, უნდა მოხდეს ძველი მასალების მოძიება სხვადასხვა უწყებებსა თუ კერძო პირს შორის.
- მიწის საკადასტრო კვლევის გამოყენება. 2000-2007 წლებში KfW ბანკების ჯგუფის (გერმანია) და საქართველოს მთავრობის ერთობლივი თანადაფინანსებით საქართველოში ჩატარდა კადასტრის და მიწის რეგისტრაციის პროექტი. დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამ კვლევების საფუძველზე ქმნის გეო-ინფორმაციულ სისტემას;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოში უძრავი ქონების საკუთრების რეგისტრაცია, რომელსაც 2018 წელს დაასრულებს.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წელს განხორციელებული სასოფლო-სამეურნეო მიწების აღწერა, რომელიც ჩატარდა მოსახლეობის სოციალური გამოკითხვის საფუძველზე.
- ჩასატარებელია მსხვილმამუტაბიანი ლანდშაფტური კვლევა, სოციალური კითხვარით, აღნიშნული კვლევა დაადგენს: მიწათსარგებლობის ფორმებს, ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიურ-ბიოლოგიურ მახვენებლებს, დეგრადირებული,

გვალვისა და გაუდაზნოების მიმართ მოწყვლად ტერიტორიებს, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მონაცემებს, მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას, მათ წვდომას ბუნებრივ რესურსებზე მათ შორის მიწის რესურსზე და მიწის მოხმარების კულტურას.

მოპოვებული მასალების საფუძველზე შესაძლებელი ხდება გეო ინფორმაციული რუკის შექმნა, ასევე საქართველოს მიწის ფონდის მდგომარეობის შესახებ ფონური ინფორმაციის მომზადება, რაც ხელს შეუწყობს საინფორმაციო ბაზის შექმნას.

## 6. მიწათმოსარგებლების ცნობიერების დონის ამაღლების სამოქმედო გეგმა

იმისათვის, რომ აღიკვეთოს მიწის გამოყენებისადმი არარაციონალური მიდგომა, საჭიროა ამაღლდეს მიწის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით მიწათმოსარგებლების ცნობიერება, ასევე ინფორმაციის გავრცელება და ცნობიერების ამაღლება შესაძლებელია ატარებდეს საინფორმაციო კამპანიის ხასიათს და მოიცავდეს ღონისძიებებს: საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებში (გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის), მასმედიის, სამეცნიერო დაწესებულებების, არასამთავრობო და საზოგადოებრივი სექტორის, კერძო და ბიზნეს სექტორის, სათემო გაერთიანებების და ადგილობრივი მოსახლეობაში.

რისთვისაც საჭიროა რიგი ღონისძიებების გატარება:

- თემატური მასალების მომზადება;
- საინფორმაციო პუბლიკაციების ბეჭვდა;
- მასმედიის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება სემინარებისა და ტრენინგების მეშვეობით;
- სემინარების ჩატარება ქალაქებში, მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში;
- საჯარო დისკუსიების;
- მასმედიის მეშვეობით ინფორმაციების ინტენსიური გაშუქება;
- შესრულდეს სანიმუშო (პილოტ) პროგრამები თვალსაჩინოებისათვის.

მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, განხორციელებული ქმედების ვადები, ფინანსური და ადამიანური რესურსები მოცემულია ცხრილ N4-ში;

ცხრილი N4;

| N | ქმედება | ვადები | ფინანსური | ადამიანური |
|---|---------|--------|-----------|------------|
|---|---------|--------|-----------|------------|

|   |  |        | რესურსი      | რესურსი   |
|---|--|--------|--------------|---|
| 1 | თემატური მასალების მომზადება;                                  | 3 თვე  | 27 000 ლარი  | 1 კაცი<br>(პროექტის გუნდი);<br><br>3 ექსპერტი<br>(ტექნიკური ექსპერტები და სპეციალისტები)  |
| 2 | საინფორმაციო პუბლიკაციების ბეჭდვა                              | 3 წელი | 50000 ლარი   | 1 კაცი<br>(პროექტის გუნდი);   |
| 3 | მასმედიის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება                | 3 წელი | 100 000      | 1 კაცი<br>(პროექტის გუნდი);<br><br>3 კაცი<br>(ტექნიკური ექსპერტები და სპეციალისტები)<br>;<br><br>100 კაცი<br>(დაინტერესებული მხარეები და მონაწილეები) |
| 4 | სემინარების ჩატარება ქალაქებში, მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში; | 3 წელი | 150 000 ლარი | 1 კაცი<br>(პროექტის გუნდი);<br><br>3 კაცი<br>(ტექნიკური ექსპერტები და სპეციალისტები)<br>;<br><br>3000 კაცი<br>(დაინტერესებული)                        |



|   |  |        |                         |  |
|---|--|--------|-------------------------|--|
|   |  |        |                         | ლი მხარეები და მონაწილეები)  |
| 5 | საჯარო დისკუსიები  | 3 წელი | 150 00 ლარი             | 1 კაცი<br>(პროექტის გუნდი);<br><br>3 კაცი<br>(ტექნიკური ექსპერტები და სპეციალისტები)<br>;<br><br>3000 კაცი<br>(დაინტერესებული მხარეები და მონაწილეები) |
| 6 | მასმედიის მეშვეობით ინფორმაციების ინტენსიური გაშუქება და გადაცემების მომზადება | 3 წელი | 150 000 ლარი            | 1 კაცი<br>(პროექტის გუნდი);<br><br>3 კაცი<br>(ტექნიკური ექსპერტები და სპეციალისტები)<br>;  |
| 7 | შესრულდეს სანიმუშო (პილოტ) პროგრამები თვალსაჩინოებისათვის.                     | 3 წელი | პროგრამული დაფინანსებით | 3000 კაცი<br>(დაინტერესებული მხარეები და მონაწილეები)  |

## 7. დასკვნები

საკანონმდებლო ბაზის განახლება, ინსტიტუციონალურ სტრუქტურებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება, მიწის დაცვის მონიტორინგის სისტემის გაუჯობესება, მიწის დაცვის შესახებ ერთიანი ბაზის შექმნა, მიწათმოსარგებლეების ცნობიერების დონის ამაღლება უნდა მოხდეს ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებებით, რაც საბოლოო ჯამში, ქვეყანას მისცემს მიწის მართვის კარგად აწყობილ სისტემას

ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, რაც შეარბილებს მიწის დეგრადაციას და გაუდაბნოების პროცესებს.

ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებები გათვლილია რაციონალურ მიდგომებზე, რაც შესაბამისად, პროექტს მისცემს საშუალებას, რომ მისი მიზანი განახორციელოს მაქსიმალურად ეფექტურად.

ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში, ქვეყანას ეყოლება საზოგადოება, რომელსაც ექნება ელემენტარული და საბაზისო ინფორმაცია მიწის მართვასთან და მიწის მართვის მდგრადი პრინციპების ყოველდღიურ ცხოვრებაში განხორციელებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, გათვითცნობიერებული საზოგადოება იქნება ძალა, რომელიც ლოგიკურ და შესაბამის რეაქციას მოახდენს მიწის დაცვის სფეროში განხორციელებულ ყველა ცვლილებაზე, იქნება ეს ცვლილება დადებითი თუ უარყოფითი.

ქვეყანას სახეზე აქვს პრობლემა რუკებთან დაკავშირებითაც, რაც აისახება, როგორც უბრალოდ, საშუალო განათლების სისტემაში, ასევე ეროვნული და საერთაშორისო დონის კვლევებზე. აღნიშნული ქმედებების განხორციელების შემთხვევაში, ქვეყანა მიიღებს გეო-ინფორმაციულ რუკას მიწის მდგომარეობის შესახებ და ეს ყველაფერი მოხდება მაქსიმალურად იაფად და რაციონალურად.

## 8. გამოყენებული ლიტერატურა

1. „გაეროს კონვენცია გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ“, 1994;
2. „გაეროს კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“, 1994;
3. „გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენცია“, 1994;
4. საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“, 1994;
5. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 დეკემბრის N742 დადგენილება „გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა“, 2014;
6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 25 ნოემბრის N2-277 ბრძანება „ნიადაგის ეროზიისგან დაცვის კომპლექსური ღონისძიებათა რეკომენდაციის დამტკიცების შესახებ“, 2005;
7. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 22 აგვისტოს N493 ბრძანებულება „ნიადაგის საფარის ეროზიისგან დაცვის პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ“, 1998;
8. საქართველოს მთავრობის დადგენილება №31 2014 წლის 3 იანვარი ქ. თბილისი ტექნიკური რეგლამენტის – „ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავების ექსპლუატაციის წესების შესახებ“
9. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-51 2012 წლის 27 მარტი ქ. თბილისი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ (სათაური 20.02.2015 N2-43);
10. საქართველოს მთავრობის დადგენილება №485 2012 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ;
11. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სტრატეგიული გეგმა 2015-2017;
12. საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე თბილისი, 2003 წლის 8 მაისი. №2260-III;
13. საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი;
14. ვებგვერდი, 16/05/2013 სარეგისტრაციო კოდი 360160000.22.023.016156 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №31 2013 წლის 15 მაისი ქ. თბილისი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე;
15. N443 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი ტექნიკური რეგლამენტის - „საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“;
16. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №36 2005 წლის 18 მარტი თბილისი „წარმოების ტოქსიკური ნარჩენებითა და რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურების შედეგად დეგრადირებული

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სხვა დანიშნულების მიწების კონსერვაციის შესახებ” დებულების დამტკიცების თაობაზე;

17. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №61 2003 წლის 18 ივნისიქ. თბილისი “ნიადაგის საშიში ნივთიერებებით დაბინძურების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების მეთოდის შესახებ” დებულების დამტკიცების თაობაზე;
18. საქართველოს მთავრობის დადგენილება №416 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი ტექნიკური რეგლამენტის - „მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობისა და ექსპლუატაციის წესები და ნორმები“ დამტკიცების თაობაზე;
19. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N2-277 2005 წლის 25 ნოემბერი ქ. თბილისი „ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის კომპლექსურ ღონისძიებათა რეკომენდაციის” დამტკიცების შესახებ;
20. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №201 2005 წლის 26 ივლისი ქ. თბილისი „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობით გამოწვეული და ნიადაგებისა და მიწების დეგრადაციის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების დებულების დამტკიცების შესახებ“;
21. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-93 2014 წლის 5 მაისი ქ. თბილისი ნიადაგების დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
22. საქართველოს კანონი საქართველოს ტყის კოდექსისაქართველო, 1999 წლის 22 ივნისი. N 2124 - III;
23. საქართველოს მთავრობის დადგენილება №415 2013 წლის 31 დეკემბერიქ. თბილისი ტექნიკური რეგლამენტის - „ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის” და „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის” დებულებების დამტკიცების შესახებ;
24. საქართველოს მთავრობის დადგენილება №451 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი ტექნიკური რეგლამენტის - „პესტიციდების და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების წესების“ დამტკიცების შესახებ;
25. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020წწ;